

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**ქმედუნარობის შეწყვეტის საკითხთან
დაკავშირებით საია-ს მიერ წარდგენილ
კერძო საჩივარზე თბილისის სააპელაციო
სასამართლომ მნიშვნელოვანი
განმარტება გააკეთა**

საია-ს თბილისის ოფისი იცავს სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული პირის ინტერესებს, რომელიც რამდენიმე წლის წინ სასამართლომ ჯანმრთელობის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მდგომარეობის გამო ქმედუენაროდ ცნო. ქმედუენაროდ ცნობის შემდგომ, მას შეეზღუდა უფლება, დამოუკიდებლად ესარგებლა სამოქალაქო უფლებებით. მას დღევანდელი მდგომარეობით აღარ ესაჭიროება მხარდაჭერის განწვევა. ამიტომ, მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ქმედუენარობის შეწყვეტის მოთხოვნით. სასამართლომ მისი განცხადება წარმოებაში არ მიიღო და განმარტა, რომ კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შემდგომ, რომლითაც გაუქმდა ქმედუენარობის ინტიტუტი და შემოვიდა მხარდაჭერის განწვევის რეგულაციები, შეუძლებელი იყო ქმედუენარობის პირდაპირ შეწყვეტა - პირი ცნობილი უნდა ყოფილიყო მხარდაჭერის მიმღებად და მხოლოდ ამის შემდეგ მოეხდინა მხარდაჭერის შეწყვეტა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ეს განმარტება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან, რადგან, მართალია, კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით გაუქმდა ქმედუენარობის ინტიტუტი და შესაბამისად, მისი პირდაპირ შეწყვეტის მარეგულირებელი ნორმა, თუმცა, სასამართლო ამ შემთხვევაში ვალდებული იყო ეხელმძღვანელა კანონის ანალოგიით და ქმედუენარობის შესაწყვეტად გამოეყენებინა იგივე რეგულაციები, რაც დადგენილია მხარდაჭერის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საია-მ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა კერძო საჩივარში მითითებული არგუმენტები და ჩათვალა, რომ მსგავს შემთხვევებში სასამართლომ უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363²³-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი ანალოგიით, რომელიც მხარდაჭერის გაუქმების წესს ადგენს სწორედ ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც პირისთვის მხარდაჭერის გაგრძელების საფუძველი აღარ არსებობს.

შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა პალატამ გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება საქმის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და საქმე განსახილველად დაუბრუნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ საქმისთვის, არამედ საყურადღებო პრაქტიკას ადგენს ქვედა ინსტანციებში ანალოგიური საქმეების სწორად გადაწყვეტის თვალსაზრისით. აღნიშნული განმარტება გაამარტივებს ქმედუენაროდ აღიარებული იმ პირებისათვის სტატუსის შეწყვეტის პროცედურებს, რომლებსაც აღარ ესაჭიროებათ მხარდაჭერა.